



ახალი ტექნოლოგია

2014 წელი, 20-26 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№35 (669)

გაერდის 1998 წლიდან


www.axaliganatleba.ge



გვერდი 3

გვერდი 3

გვერდი საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას, რათა ჩვენი ქვეყანა უკეთესი გახდეს



**რუბრიკის
„ქართული სტუდენტები
უცხოეთში“ სტუდენტი
მირიან
გამრეკელაშვილი,
აიხვტატ-ინგოლშტატის
კათოლიკური უნივერსიტეტი-
ტატის დოქტორანტი**

გვერდი 8-9

გვერდი 4-5

კვლავ დასახმარებლად ქართული ენა და ლიტერატურა გერმანული ენა

გვერდი 6-7



საატესტატო გამოცდის დავალბათა ნიშუები

იპატება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შთანხმებით

„ნაიკითხა, უკანუხა და დასვი კითხვა“

მომღვენო ნანარმოები, რომლის ვიქტორინის ფარგლებში გვინდა შემოგთავაზოთ, ახალგაზრდა ქართველი მწერლის, თამარი ფხაკაძის მოთხრობა, სახელწოდებით „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“.

ისტუმრეთ საქართველოს სასკოლო სკოტის ეროვნული ფადრასიის ფინსუჟ-გვერდს



კვლევა დასასაყარად

ლექსის შინაარსი მესამე პირში დაინეროს.

ის, თუ რამდენად სრულყოფილადაა დავალება შესრულებული, გაიზომება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ლექსის შინაარსში იკითხება თუ არა ის განმარტებები, რომლებიც მოსწავლეებმა პირველ ეტაპზე შეასრულეს;
- რამდენადაა გათვალისწინებული გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ყველა სიტყვა;
- გადატანითი მნიშვნელობის სიტყვების განმარტებები რამდენად უკავშირდება ერთმანეთს ლოგიკურად.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები შეგიძლიათ გამოიყენოთ საშინაო დავალების შეფასების რუბრიკის ინდიკატორებად; მოსწავლეებს საშინაო დავალებად ეძლევათ ლექსის შინაარსის დაწერა.

• მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამ ტიპის ლექსების შინაარსის წერის საფუძვლებს გაეცნობიან, ზუსტად ეცოდინებათ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი წერილობითი ტექსტი, შეგიძლია გამოიყენოთ მეთოდი *წერილი კონფერენცია*: ოთხკაციან ჯგუფებში სა-

შინაო დავალებას მოსწავლეები ერთმანეთს უსწორებენ, ჯგუფის თითოეული წევრი ერთ ნაშრომთან დაკავშირებით წერს როგორც დადებით კომენტარებს (რა მოეწონა და რატომ), ისე – შენიშვნებს (ამ შემთხვევაშიც, ზუსტად უნდა აღნიშნოს, რა უნდა გაეკეთებინა თანაკლასელს, რომ მისი ნაშრომი გამართული ყოფილიყო). შემდეგ ეტაპზე თითოეული მოსწავლე მიღებულ კომენტარებს ეხმიანება; აღნიშნავს, კომენტარებიდან რა მოეწონა და რას არ ეთანხმება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, წინამდებარე წერილის მიზანი იყო, გვეჩვენებინა, რომ მეტაფორებით გაჯერებული ლექსების ანალიზი მოსწავლეთათვის ადვილად დასაძლევე შეიძლება გახადოთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ლექსების ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია შეუძლებელია, ლექსის ანალიზი ტექსტისაგან მოწყვეტილი არ უნდა იყოს. როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვების დეკოდირებაზე მუშაობა სხვადასხვა მეთოდით შეიძლება, თუმცა ერთ წერილში თითოეული მათგანის დეტალურად აღწერა ვერ მოხერხდება, ამიტომ მხოლოდ ლექსის შინაარსის წერა განვიხილეთ; შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ლექსის შინაარსის წერამდე მოსწავლეების ეტაპობრივად უნდა მივიყვანოთ.

გერმანული ენა

როგორ გამოვიყენოთ გაკვეთილზე სურათები უნარ-ჩვევა მეტყველების გასაპოვებლად



სოფიო დედლაგაზიშვილი



მოგესხნებათ, უცხო ენის სწავლებისას ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განვუვითაროთ ოთხივე უნარ-ჩვევა: კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი. სურათები ისეთი მასალაა, რომელიც უცხო ენის გაკვეთილზე ყველა უნარ-ჩვევის გასაპოვებლად შეგიძლია გამოიყენოთ. ისინი ძალიან დიდ მოტივაციას იწვევენ მოსწავლეებში, თუ, რა თქმა უნდა, მათი შერჩევისას, ბავშვების ინტერესების სფეროსა და ასაკს გაითვალისწინებთ. მე მიზნად შემოგთავაზობთ გაკვეთილის მონახაზი, რომლის მიზანია უნარ-ჩვევა ლაპარაკის განვითარება. ზეპირი მეტყველება, მოგესხნებათ, უცხო ენის გაკვეთილის ერთ-ერთი განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან მოსწავლეებს იმისთვის ვასწავლით უცხო ენას, რომ ამ ენაზე მათ წარმატებული კომუნიკაცია შეძლონ.

ამ კონკრეტული გაკვეთილის დაგეგმვისას წინასწარ უნდა მოიზარაგოთ ის მასალები, რომლებიც დაგჭირდებათ. ესენია: საკმაო რაოდენობის სურათები, ქაღალდის წებოვანი ლენტი, ფლიპ ჩარტის ქაღალდები და სხვადასხვა ნივთები და სიმბოლოები.

მასწავლებელი წერს დაფაზე „Die Deutschen“ და სთხოვს მონაწილეებს, რომ ყველამ მიაწეროს თავისი შეხედულება გერმანელების შესახებ, როგორები არიან ისინი. მაგ.: pünktlich... შემდეგ საუბრობენ იმაზე, თუ როგორ ჩნდება ესა თუ ის შეხედულება (Klischeevorstellungen und Vorurteile) და თვითონ რა გამოცდილება აქვთ ამასთან დაკავშირებით.

როდესაც, ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამს, მასწავლებელი არიგებს გერმანელი ავტორის ლექსს გერმანელების შესახებ და მსჯელობენ ამ ლექსის ირგვლივ, თუ როგორები არიან გერმანელი ავტორის თვალით დანახული გერმანელები.

rudolf otto weimar

empfindungswörter

- aha die deutschen
- ei die deutschen
- hurra die deutschen
- pfui die deutschen
- ach die deutschen
- nanu die deutschen
- oho die deutschen
- hm die deutschen
- nein die deutschen
- ja ja die deutschen

შემდეგ მასწავლებელი, დაჭრილი ფოტოების საშუალებით, ქმნის ჯგუფებს (ვიღებთ იმდენ სურათს, რამდენი ჯგუფიც გვინდა რომ გვყავდეს და თითოეულ სურათს ვჭრით იმდენ ნაწილად, რამდენი წევრიც უნდა იყოს თითო ჯგუფში. ვურევთ ყველას ერთმანეთში და ვურიგებთ მოსწავლეებს. ისინი ეძებენ სურათების ნაწილებს (ანყობილი სურათი ერთი ჯგუფში) და მაგიდაზე ალაგავენ გერმანელების ყოველდღიურობის ამსახველ ფოტოებს. შემდეგ აძლევენ დავალებას: (Wählen Sie Fotos aus, machen Sie eine Fotocollage über die Deutschen, geben Sie eine Überschrift und Präsentieren Sie. Sie können Ihre Präsentation mit den Texten und Zeichen (Piktogramme, Symbole etc.) erweitern.)

ყველა ჯგუფი არჩევს ფოტოებს, რომლებითაც ისინი ფლიპ ჩარტის ქაღალდზე აწყობენ ფოტოკოლაჟს გერმანელების შესახებ და თვითონ ასათაურებენ. მათ შეუძლიათ კოლაჟის გამრავალფეროვნება ნახატებით, სიმბოლოებით ან სხვადასხვა ნივთებით. შემდეგ ხდება ამ კოლაჟის პრეზენტაცია ისე, რომ ჯგუფის თითოეული წევრი იღებს პროცესში მონაწილეობას და სურათებიდან შექმნილი შთაბეჭდილებების მიხედვით ყველაზე გერმანელებზე.

საბოლოოდ ყველა ჯგუფის ნამუშევარი შეჯამდება – რა მსგავსებები და განსხვავებები გამოიკვეთა და გაიგეს თუ არა გერმანელების ყოველდღიურობის შესახებ ახალი ინფორმაცია.

დავალებად შეიძლება მივცეთ – მოამზადონ მოკლე პრეზენტაცია გერმანელებსა და ქართველებს შორის მსგავსება-განსხვავებებზე.



გამოსავალი გამოცდა

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

ბიოლოგია

წარმოდგენილია მხოლოდ 2013-2014 სასწავლო წლის გამოსავლებზე გამოყენებული ტესტური დავალებების ნიმუშები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ახალი პროგრამის დამტკიცების შემდეგ ნიმუშები განახლდება.

1. რას გამოიწვევს საარსებო რესურსების უკმარისობისა და პოპულაციაში ინდივიდების რიცხვის გაზრდა?

- ა) არსებობისათვის ბრძოლის გამწვავებას
- ბ) გენეტიკურ ნაირგვარობას
- გ) კომბინაციურ ცვალებადობას
- დ) მოდიფიკაციურ ცვალებადობას

2. რაზე მიგვანიშნებს პურის ყანაში სხვადასხვა სიმაღლის ხორბლის არსებობა?

- ა) შიდასახეობრივ ბრძოლაზე
- ბ) სახეობათაშორის ბრძოლაზე
- გ) ადაპტაციაზე
- დ) გარემოს არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლაზე

3. რა შეგუებულობა ჩამოყალიბდათ ჩრდილის ამტან მცენარეებს სუსტი განათების პირობებში საარსებოდ?

- ა) პატარა ფოთლები
- ბ) ქლოროპლასტების მცირე რაოდენობა
- გ) მრავალი და დიდი ზომის ქლოროპლასტები
- დ) მძლავრი ფესვთა სისტემა

4. მიტოზში როგორი თანამიმდევრობით მიმდინარეობს ჩამოთვლილი პროცესები?


- I - ქრომოსომების სპირალიზაცია
- II - ქრომატიდების ერთმანეთისაგან დაცილება
- III - ქრომოსომების ეკვატორულ სიბრტყეში განლაგება

ა) I, II, III	ბ) I, III, II	გ) II, I, III	დ) II, III, I
---------------	---------------	---------------	---------------

5. დნმ-ის რამდენ მოლეკულას შეიცავს სომატური უჯრედის თითოეული ქრომოსომა მიტოზის მეტაფაზისა და ანაფაზის სტადიებზე?

ა) მეტაფაზში - 1 ანაფაზში - 1	ბ) მეტაფაზში - 1 ანაფაზში - 2	გ) მეტაფაზში - 2 ანაფაზში - 1	დ) მეტაფაზში - 2 ანაფაზში - 2
----------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------

6. რა პროცესია მოცემული ილუსტრაციაზე?



ა) კონიუგაცია და კოსინგოზი	ბ) ქრომოსომის გაორმაგება	გ) რეპლიკაცია	დ) რეპარაცია
----------------------------	--------------------------	---------------	--------------


7. ჩამოთვლილთაგან რომელი ჩანასახოვანი შრეები აქვს გასტრულას?

- ა) მხოლოდ ექტოდერმა და ენტოდერმა
- ბ) მხოლოდ ექტოდერმა და მეზოდერმა
- გ) მხოლოდ ენტოდერმა და მეზოდერმა
- დ) ექტოდერმა, ენტოდერმა და მეზოდერმა

8. ჩამოთვლილთაგან, ხერხემლიანთა რომელი კლასის წარმომადგენლებს არ ახასიათებთ პირდაპირი განვითარება?


ა) ამფიბიებს	ბ) ქვეწარმავლებს	გ) ძუძუმწოვრებს	დ) ფრინველებს
--------------	------------------	-----------------	---------------

9. დალტონიზმი სქესთან შეჭიდული რეცესიული ნიშანია. მონოდედული ინფორმაციის მიხედვით დაადგინეთ მშობლების გენოტიპები.




ა) $X^D X^D \times X^d Y$
ბ) $X^d X^d \times X^d Y$
გ) $X^D X^D \times X^D Y$
დ) $X^D X^d \times X^D Y$

10. F₂-ში მიღებული შედეგის გამოყენებით განსაზღვრეთ ჟოლოში საწყის მცენარეთა გენოტიპი.



ა) AA x aa	ბ) Aa x Aa	გ) Aa x aa	დ) AA x AA
------------	------------	------------	------------

11. თუთიყუშის ბუმბულის (მწვანე ან ლურჯი) შეფერილობა და ფრთახალიანობა (ფრთახალა ან სადა) მემკვიდრული ნიშნებია. მონოდედული ინფორმაციით განსაზღვრეთ F₁-ის ჰიბრიდების გენოტიპი.



ა) AaBb
ბ) AaBB
გ) AABb
დ) AABB

12. სურათზე ნაჩვენებია უხვმოსავლიანი პოლიპლოიდური საზამთრო, ბანანი, ვაშლი. განსაზღვრეთ, რომელი მუტაციის შედეგად იღებენ ასეთ ჯიშებს?




ა) გენური	ბ) სომატური	გ) გენომური	დ) ციტოპლაზმური
-----------	-------------	-------------	-----------------

13. რა წარმოდგენს ცხოველებისათვის სიგნალს სეზონური ცვლილებების დასაწყებად?

- ა) სინათლის ინტენსივობა
- ბ) საკვების რაოდენობა
- გ) ნალექების რაოდენობა
- დ) დღის ხანგრძლივობა

14. ილუსტრაციაზე მოცემულია ეკოლოგიური პირამიდა. განსაზღვრეთ, პირამიდის რომელი კვებითი დონე უკავიათ მესამე რიგის კონსუმენტებს.



ა) B
ბ) C
გ) D
დ) E

15. როგორ უკავშირდებიან ამინომჟავების ნაშთები ერთმანეთს ცილის პირველად სტრუქტურაში?

- ა) პეპტიდური ბმებით
- ბ) წყალბადური ბმებით
- გ) ჰიდროფობული კავშირებით
- დ) იონური ბმებით

პასუხები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა	X	X				X	X	X		X	X				X
ბ				X											
გ			X		X							X		X	
დ									X				X		


საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

გეოგრაფია

- 1. ჩრდილოეთ კავკასიის რომელი პოლიტიკური სუბიექტი ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ერთეულს?
2. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან (ადმინისტრაციული რაიონებიდან) სად არის უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება?
3. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?
4. რომელი ალკევილი არ მდებარეობს კახეთის ტერიტორიაზე?
5. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ბოლო ყველაზე დიდი ცვლილება მოხდა:
6. ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა არის ნატოს წევრი?
7. რომელი სახელმწიფოა სამივე ორგანიზაციის - გაეროს, ევროკავშირისა და ნატოს - წევრი?
8. რა ეწოდება ქვეყნის მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდას?



- 9. რომელ ქვეყანაშია სურათზე გამოსახული არქიტექტურული კომპლექსი?
10. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?



10. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?
ა) 0-4; ბ) 30-34; გ) 55-59; დ) 75-79.

12. რომელი კონტინენტის კლიმატია ყველაზე „მშრალი“?
13. რომელ რეგიონში შედის პორტუგალია?
14. რომელია C წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები?
15. რომელ ქალაქშია ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა ყველაზე დაბალი?

Table with 3 columns: ქალაქი, ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა°C, ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა°C. Rows A, B, C, D.

- 16. თქვენ ხელთ არსებულ რუკაზე, რომლის მასშტაბია 1 : 1 500 000, ქ. ქუთაისსა და ქ. განჯას შორის მანძილი 24 სანტიმეტრს უდრის. დაადგინეთ, რამდენი კილომეტრია აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებს შორის მანძილი?
17. რომელ საბადოში მოიპოვება მარმარილო?
18. რა ეწოდება წყლის მოცულობას, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (წლის განმავლობაში) ხმელეთის ზედაპირიდან ჩამოედინება?
19. რა არის მიგრაციის საღლო?
20. სად მდებარეობს გეოგრაფიული ობიექტი, რომლის კოორდინატებია 20° ს.გ. და 60° დ.გ.?

ინფორმაცია

იუნისეფი და ესტონელი სკოლისტები ეხმარებიან მომავალ მასწავლებლებს სასწავლო უნარ-ჩვევების გაძლიერებაში

იუნისეფის და ესტონელი სპეციალისტების მიერ ნომბერში ჩატარებული ტრენინგების შედეგად, მომავალ მასწავლებლებს უკეთესი სასწავლო უნარ-ჩვევები ექნებათ. ტრენინგები ჩატარდა საქართველოს ოთხ ნამყვან უნივერსიტეტში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინიციატივა ხორციელდება ესტონეთის მთავრობის და იუნისეფის მხარდაჭერით, საქართველოში მომავალი პედაგოგების განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მისი კონკრეტული მიზნებისა და გამოწვევებიდან გამომდინარე, ესტონელმა სპეციალისტებმა გამართეს პრეზენტაცია ესტონეთში მასწავლებელთა მომზადების თემაზე და მონაწილეებს გაუზიარეს ინფორმაცია მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამების შესახებ. ღონისძიების მონაწილე მხარეებმა იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რომელსაც აწყდებიან საქართველოს უნივერსიტეტები მასწავლებელთა მომზადების მხრივ. დისკუსიის მეშვეობით განათლების სფეროს წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ მიეღონ ინფორმაცია საუნივერსიტეტო განათლების და პედაგოგიური კარიერის დაწყების პროცესში მასწავლებელთა მომზადების საკითხებზე, მათ შორის პრაქტიკული ტრენინგისა და სწავლების მაღალი ხარისხის მნიშვნელობის შესახებ. მასწავლებლები კრიტიკულ როლს ასრულებენ სწავლების ხარისხის საკითხში, რაც, თავის მხრივ, აისახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ მიღწევებზე. როდესაც მასწავლებელი კარგად არის მომზადებული სწავლების დასაწყებად და სწავლების პროცესშიც მუდმივად ავრძელებს პროფესიულ განვითარებას, მას შეუძლია უზრუნველყოს ხარისხიანი სწავლება და დაეხმაროს მოსწავლეებს კარგად ისწავლონ და შეინარჩუნონ ცოდნა და უნარ-ჩვევები. მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია გადამწყვეტი ფაქტორია მოსწავლეთა მაღალი ხარისხის შედეგების მისაღწევად. საუნივერსიტეტო განათლების და პედაგოგიური კარიერის დაწყების პროცესში მასწავლებელთა მომზადება უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ მომავალი მასწავლებლები აღიჭურვონ

სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, მზად იყვნენ სწავლები-სათვის, როდესაც შეუდგებიან პროფესიულ საქმიანობას. აღიარებულია, რომ საქართველოში ზოგადი განათლების ხარისხის პრობლემაა. რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მასწავლებლები სწავლებისას ძირითადად იყენებენ საუნივერსიტეტო განათლების პერიოდში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას. დღეისათვის მასწავლებლების წინასწარი ტრენინგი არ არის სავალდებულო და გამიზნულია სერტიფიცირებისთვის.



არასრულწლოვანთა განრიღება

არასრულწლოვანთა განრიღებისა და მედიაციის პროგრამაში ცვლილებები შევიდა

ლალი ჯილაძე

ამოქმედდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომლითაც ცვლილებები შევიდა არასრულწლოვანთა განრიღებისა და მედიაციის პროგრამაში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ინფორმაციით, ცვლილებების მიზანია პროგრამის დაახლოება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებთან.

აღნიშნული ცვლილებებით პროკურორს ექნება შესაძლებლობა, განარიდოს არასრულწლოვანი არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის. იზრდება მედიაციის როლი განრიღების პროცესში. პროკურორის მიერ არასრულწლოვანის განრიღების გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მედიაციის შეხვედრა დაზარალებულს, აუხსნის პროგრამის არსს და მედიაციაში მონაწილეობას შესთავაზებს.

ცვლილებებით დაიხვეწა განრიღების პროცედურული საკითხები. როგორც იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი **ჯონი კვინიკაძე** განმარტავს, სიახლე ხელს შეუწყობს არასრულწლოვანს დანაშაულის გაცნობიერებაში, ასევე დაზარალებულს არ ექნება უსა-

მართლობის შეგრძნება. „ეს ცვლილება მნიშვნელოვანია, რადგან დღეიდან პროკურორებს შესაძლებლობა ექნებათ, განრიღების დისკრეციული უფლება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვნებზეც გამოიყენონ და, შესაბამისად, უფრო მეტი არასრულწლოვანი ისარგებლებს აღდგენითი მართლმსაჯულების სიკეთით. დღევანდელი ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზარდება განრიღების მექანიზმის ეფექტურობა. კერძოდ, დაწესდა ვადები პროცედურებისათვის, რაც შესაძლებელს გახდის განრიღების პროცესის დასრულებას მაქსიმალურად მცირე ვადაში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არასრულწლოვანს დანაშაულის გაცნობიერებაში, ხოლო დაზარალებულს არ ექნება უსამართლობის შეგრძნება“, – განაცხადა იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორმა.

აღნიშნულ სიახლეებთან დაკავშირებით, წყალტუბოში, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისა“ და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით, დაიწყო მულტიმედიური სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების სერია არასრულწლოვანთა განრიღებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის. ამ შეხვედრების საშუალებით პროკურორები, სოციალური მუშაკები და

მედიატორები გაეცნენ ცვლილებებს, რომლებიც არასრულწლოვანთა განრიღებისა და მედიაციის მექანიზმში ამოქმედდა და მიიღეს შესაბამისი ინსტრუქციები.

წყალტუბოში სამუშაო შეხვედრას უძღვებოდნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, პროკურატურის და პრობაციის სააგენტოს თანამშრომლები. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი.

2010 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა განრიღებისა და მედიაციის პროგრამა, რომლის მენეჯმენტსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს. 2014 წლის ოქტომბრისთვის მონაცემებით, პროგრამის დაწყებიდან სულ 704 არასრულწლოვანი იქნა განრიღებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მათგან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 25-მა არასრულწლოვანმა. ევროკავშირის სტანდარტით, პროგრამა წარმატებულია, თუ რეციდივის მაჩვენებელი 20 პროცენტს არ აღემატება. საქართველოს შემთხვევაში კი ეს რიცხვი 4 პროცენტზე ნაკლებია, რაც ძალიან კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

სასკოლო აქტივობა

„ნიკო გომელაურის გზა“

დადგა ცივი და სუსხიანი შემოდგომა, თუმცა ყველაფერს შეიძლება სილამაზის ელფერი მივანიჭოთ, სუსხიან შემოდგომასაც კი. მცირე გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ადამიანი მაშინაა ყველაზე ბედნიერი, როცა საკუთარ თავს იპოვის. დიახ, მე ჩემმა პროგრამამ – „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ – საკუთარი თავი მაპოვნინა. გავიარე ის გზა, რომელზეც ყველაფერი შემხვდა: სიკეთე, წარმატება, პატარების სიყვარული და ზოგჯერ იმედგაცრუებაც კი. ისტორიას არ ახსოვს, ციდან ჩამოფრენილიყოს გასაღები, რომელიც საკუთარ თავს გაპოვნინებს, ეს ყველაფერი დროს და გამოცდილებას მოაქვს. მე ისევ ახალი ფურცელი გადავშალე და იმედებით შევუდექი მიზნის მიღწევას. ვცდილობ, მაქსიმალური გადავცე მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მარტივად არ ხდება, მაგრამ ვარდიც ხომ უეკლოდ არ იკრიფება.

დავწყვიტეთ, ერთი დღე პოეზიისთვის დაგვეთმო. ჩემი აზრით, პოეზია რომ შეაყვარო, ამისათვის მთავარი მხოლოდ ლექსების დაზეპირება არ არის, აუცილებელია სხვა კუთხით დავანახოთ მათი ცხოვრება, ვაგრძნობინოთ და ასე შევავაროთ პოეზია... ეს საღამო, ქართველ პოეტს, ნიკო გომელაურს მივუძღვენი. აქვე არ შემოიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა მის შესახებ. ის უდავოდ ნიჭიერი პოეტი, მსახიობი და, რაც მთავარია, დიდი ადამიანი იყო, მე ასე ვაფასებ მის შემოქმედებას. მისი ღრმად ცისფერი თვალები, თბილი გამოხედვა ერთი დიდი ცხოვრებაა, ცოტას თუ შეუძლია ასე უყვარდეს საკუთარი ცოლი, ქალი, რომელიც სიცოცხლეს ერჩივნა. მისი ყველა ლექსი ცხოვრების დიდი ისტორიაა, რომელიც ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის გულში.

პოეზიის საღამოში, სახელწოდებით „ნიკო გომელაურის გზა“, ჩართული იყვნენ სოფელ საბირქენდის №1 საჯარო სკოლისა და სოფელ ქესალის სკოლის მოსწავლეები, რომელთაც ნაიკითხეს ნიკოს ლექსები, ისაუბრეს მის შესახებ. მართალი გითხრათ, ძალიან ემოციური დღე იყო ჩემთვის. ერთია, როცა საქმეს აკეთებ და მეორე, როცა გრძნობთ



აკეთებ ამ ყველაფერს. როცა დაიწყო ჩვენი პოეზიის საღამო, გულმა გამაღებელი დამიწყო ძეგრა, ვფიქრობდი, ეს რომ ვერ შეძლონ ბავშვებმა-მეტი, რადგან ყველას ნერვიულობა და დაბნეულობა შევატყვე სახეზე. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან ეთნიკურ უმცირესობებს ქართულად უნდა ნაეკითხათ ნიკო გომელაურის პოეზია, თუმცა ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ერთი საათის განმავლობაში სრულიად სხვა სამყაროში მოხვდი, ყოველ სიტყვას ვგრძნობდი, მათ მიერ ემოციურად წარმოთქმული ყოველი ბგერა სულში მეჭრებოდა და ნახად ეხმატკბილებოდა ყოველ სიმს... როცა ნიკოს ლექსს კითხულობ, შე-

უძღებელი ემოციებმა არ აგყოლოს, მაგრამ როცა აზერბაიჯანელი მოსწავლეები კითხულობენ ასე ლამაზად, გრძნობთ, ეს ორმაგად შთამბეჭდავია. მე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიყავი იმ ერთი საათის განმავლობაში. ქესალის სკოლის ბავშვებმა შექმნეს ულამაზესი ნახატი ნიკოს ცხოვრებაზე, საინტერესოდ გადმოსცეს ნახატი ის, რაც ნიკოს სულიერებას დაგვანახებდა. ვფიქრობ, სევდიანი, მაგრამ ამავდროულად ძალიან საინტერესო საღამო გამოვიდა. მოწვეული გვყავდნენ ახალგაზრდა პოეტები: **დავით კამკამიძე** და **თორნიკე ჭელიძე**, რომელთაც მოსწავლეებს საკუთარი თავი წარუდგინეს, ორი-

ღე სიტყვით შეაფასეს პოეზიის საღამო და რამდენიმე საკუთარი ლექსი წაგვიკითხეს. დავით კამკამიძემ მოსწავლეებს სამახსოვროდ დიპლომები გადასცა, მათ სიახლეს საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენც ბედნიერი ვიყავით იმით, რომ ნიკოს ასეთი ლამაზი საღამო მივუძღვენი, მისი სახელი უკვდავია ყველასთვის... მადლობა მინდა გადავუხადო მოწვეულ სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას და, რაც მთავარია, ჩვენს მოსწავლეებს, რომ ასეთი ლამაზი და დაუფიქარი საღამო ვაჩუქეთ ყველასთვის საყვარელ პოეტს, ნიკო გომელაურს.

სალომე ძირია

„შემოდგომის დღეები“

მიმდინარე სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრიორიტეტად მიიჩნია მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. განათლების სამინისტროს ეს ინიციატივა, რა თქმა უნდა, ჩვენი სკოლისთვისაც არის პრიორიტეტი, ამიტომ დირექციის ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას სახელობის ქ. თბილისის 87-ე საჯარო სკოლაში, 14 ნოემბერს, გაიმართა სასკოლო ღონისძიება – „შემოდგომის დღეები“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ I-IV კლასების მოსწავლეები.

ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა, მათი შემოქმედებითი უნარის განვითარება და თვალსაზრისის გაფართოება, საქართველოს კუთხეებისათვის დამახასიათებელი ადათ-წესების გაცნობა.

ბავშვები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები ხალისითა და ინტერესით ჩაერთვნენ აღნიშნულ

ნათია მუშლაძე
მოსწავლეებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი, ვაჟა-ფშაველას სახელობის თბილისის №87 საჯარო სკოლის ინფორმაციული მენეჯერი





მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელის ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი



ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომარეთელი

წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა

- ◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მიზნობრივად გაგნადავსებლად საკრობრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოსაზრდის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შექვებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეცხველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

კრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. სოფლის ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი
ერთი ცალის ფასი 2.50 ლარი

თემატური კლასიკები მალატი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები
3. გარეული ცხოველები
4. მწერები
5. ძველმეცხველები
6. საბარტველუს მცენარეები
7. სამეცხროს წარმოშობა
8. ნიადაგი - სიტყვების წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროები
11. ზღვის დინებები
12. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ძარტველი მემორის
14. მსოფლიოს შვიდი სოცრება
ერთი ცალის ფასი 3 ლარი

რეკროდუქციები ხელმოწერის კაბინეტისთვის

- 1. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყვანთა თაყვანისცემა - დოგენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლუს-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის პალი - კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. სტანელა - რობერტ რენუარი
9. საკვირამ გასერნება გრან შატის კუნძულზე - შორშ სიორა
ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ქართული მწერლები

- 1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი) I-VI ტომი, - 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი) II, III, IV, V, VII ტომი - 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომიანი) I-II ტომი - 16 ლარი
4. ეფიმი გიფიანი (2-ტომიანი) I-II ტომი - 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, VI, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი) I, II, V, VI ტომი - 12 ლარი
7. ვახტანგ თაღიანი (9-ტომიანი) I-VII ტომი - 12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიანი (6-ტომიანი) I-V ტომი - 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომიანი) I-X ტომი - 12 ლარი
10. თამაზ ჟილაძე (6-ტომიანი) I-VI ტომი - 10 ლარი
11. გოფიკი მუსხელი (5-ტომიანი) I, III, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლორსიკი
3. ირაკლი აბაშიანი
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გენიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჯული
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“

- თეოდორ ფონტანე - ეფი ბრისტო
- მიგელ დელიბასი - ორი რომანი
- აკმად ჰ. ტანინარი - დროის ინსტიტუტი
- ჟან ჟიმენო - ჰუსარი სხურავა
- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბათინი - ლამაზი ბართუბანი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის დვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- მონო და ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფერ ჰაბარდი - მონტესუბას ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოლერო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვიგი - მოუთმელოვა გულია
- მარკერიტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- პრუსპერ მერიმა - ილევი ვენერა
- ბილზერტ კ. ჩესტერტონი - დონ კინოტის დაბრუნება
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყენილება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუზი - ლიტანტინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება




თითო ტომის ფასი - 12 ლარი



რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მცენიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურანი
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22



ფასი - 15 ლარი


შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეზვაძის
პროზაული ვერსია
სარიიდან
ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე
ქართული
აგიოგრაფიული
პროზა ლიტერატურის
შემსწავლელთათვის

ფასი - 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და
ანალიტიკური
გზამკვლევი

ფასი - 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის
სასკოლო
განმარტებითი
ლექსიკონი (ორტომეული)

ფასი - 10 ლარი

ბაგო მცხემლობა

ქიმია

საატმოსფერო-საბაგო მცხემლობა
საქიტხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი - 3 ლარი

ქიმია

საატმოსფერო
ბაგო მცხემლობა
ლ. მეტრეველი
ფასი - 6 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო
ბაგო მცხემლობა
ლ. ბურღილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მალრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი - 4 ლარი

გეოგრაფია

საატმოსფერო ბაგო მცხემლობა
ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი - 6 ლარი

ისტორია

საატმოსფერო
ბაგო მცხემლობა
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი - 6 ლარი

ისტორია

ეროვნული ბაგო მცხემლობა
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი - 9 ლარი

მათემატიკა

სნობარი ახიტურინტეზისა
და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. ნერეთელი
ფასი - 5 ლარი

ფიზიკა

საატმოსფერო
ბაგო მცხემლობა
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერია
ფასი - 6 ლარი



მისამართი: 0102 თბილისი, ტაბატაშვილის ქ. №3
 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
 www.axaliganatleba.ge
 E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რევიზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.